სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/337

ქ. თბილისი

27 ნოემბერი 2018 ·

უსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული რეკომენდაციების შესრულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-20^2 მუხლის მე-2 პუნქტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომის № 19 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 ნოემბრის № 01-05-02/25 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს თანდართული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული რეკომენდაციების შესრულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით“ სხდომაზე გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით (იხ. დანართი).

2. გეგმით გათვალისწინებული თითოეული დაგეგმილი აქტივობის შესრულებაზე, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

3. დაგეგმილი აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა გეგმით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი ანგარიში უნდა წარადგინოს

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. აქტივობის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რეკომენდაციის მოთხოვნები, სტანდარტისა და კომპონენტის აღწერილობა და შეფასების კრიტერიუმები, აგრეთვე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა.

4. აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ანგარიშის მომზადების პროცესში, უფლება აქვთ აქტივობის შესრულებისთვის აუცილებელი ინფორმაცია მოსთხოვონ უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, მათ შორის, ფაკულტეტებსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს.

5. ავტორიზაციის მე-3 სტანდარტის 3.1 კომპონენტთან დაკავშირებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს, რომ თვითშეფასების პროცესი გახდეს უფრო გახსნილი, გამჭვირვალე, ინკლუზიური და ანალიტიკური, სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა რეალური და არა ფორმალური მონაწილეობით. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს უფრო ყოვლისმომცველი და ზუსტი.

6. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე